საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო.

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვეურად ღირს 25,000 მ. სამგლოვიარო განცხადება 30,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 1000 მან.

სამშაბათი, დეკემბრის 13 1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმა მწუხარებაში მყოფი მეუღლე გრიგოლი და შვილი ეორა, დედა ნატა, დედამთილი მატრონა და მამამთილი ექვთიმე დუმბაძენი ძმა იოსები და დაი ელენა, მულები ვალერია დიასამიძისა და ვალენტინა, რძალი მარუსია დუმბაძისა, სიძე სულეიმან დიასამიძე და მაზლები ვასო და რუბენ დუმბაძენი, აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ამა წლის დეკემბრის 9-ს ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვინ ძვირფასი და დაუვიწყარი

ჰელო სიმონის ასული

დუმბაძისა

რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია სამშაბათს, დეკემბრის 13-ს დილის 12 საათზე. მიცვალებული გამოსვენებულ იქმნება მელიქოვის ქუჩა № 9 (ძე 9 რაიონი) და დაკრძალვა კი მოხდება კუკიის სასაფლაოზე.

142

სოფრ. გლახაშვილის

თხუზულებანი 1 და 2 ტ.

იყიდება წერაკითხვის საზოგადოების მაღაზიაში. იქავე
ბუხჰალტერია სოფრ. ტარუაშვილისა.
ბუნების გლოვა ვაჟას გარდაცვალებაზე—სიმღერა არაყიშვილისა

139

პირველი წითელი საბჭო.

ეჭვს გარეშეა, რომ 10 დეკემბერს ქართველი მშრომელი-კლასისა, კერძოთ ტფილისის პროლეტარიატის ცხოვრებაში მოხდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი—შეიქმნა ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა დიქტატურის განმსახიერებელი ფორმა—ტფილისის საბჭო. როგორც საბჭოს სხდომაზე არა ერთხელ იქმნა ხაზ-გასმული, ტფილისის საბჭოს ჩამოყალიბებით დაიწყო ფორმალური ლიკვიდაცია ფაქტიურად, უკვე განადგურებული ბურჟუაზიულ-მეშჩანური სახელმწიფოებრივი ფორმისა და საზოგადოდ დრომოჭმული ტრადიციებისა.

საქართველოს მშრომელმა კლასმა ფორმალურად დაიწყო ახალი სახელმწიფოებრივი სისტემის შენება და ზურგი აქცია მენშევიკურ წარსულს ერთხელ და სამუდამოდ. გარდამავალი პერიოდის ორგანოებით შეიარაღებული ტფილისის პროლეტარიატი შეუდგა ორგანიზაციულ მონაწილეობის მიღებას ადმშენებლობაში. ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭომ პირველს ხდომაზე ერთსულოვნად მიიღო საერთაშორისო რევოლიუციის ორიენტაცია საბჭოთა ფორმალური ყალიბის სახით და ქვეყნის წინაშე განაცხადა: რევოლიუციის გარეშე არ არის ხსნა ქართველი მშრომელის ეროვნულ-კლასობრივ ინტერესებისა. ამიტომ იგი შეგნებულად ღებულობს აქტიურს მონაწილეობას რევოლიუციის ფრონტზე, რომელიც გამოიხატება: 1) მრეწველობა მეურნეობის აღდგენა-განვითარებაში 2) კონტრ რევოლიუციის ხაწინააღმდეგო ძალის დარაზმვასა და ფიზიკურად რევოლიუციის საფარაჯოზე დაყენებაში. როგორც სამეურნეო, აგრეთვე თავდაცვითი საშუალებების გაცხოველება და საზოგადოდ მთელი მუშათა კლასის ინტელექტუალურ-ფიზიკური ენერგიის მიპყრობა ამ ორი საკითხისაკენ თავს იდვა მუშათა და წითელ არმიელთა ტფილისის საბჭომ თავის პირველს სხდომაზე. საბჭოს პირველს სხდომაზევე შეიქმნა ის სულიერი განწყობილება, რომელიც ყოველთვის ახასიათებდა მუშათა კლასს, ხოლო რომელიც მუდამ ჩაკლული იყო მასში გაბატონებული ბურჟუაზიული კლასების მიერ.

გრძნობა სოლიდარობისა იყო მთავარი ხელმძღვანელი და მპყრობელი ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოისა 10 დეკემბრის სხდომაზე. ამ დღეს არა მარტო ტფილისის პროლეტ., არამედ მეზობელ საბჭოთა მშრომელმა კლასმაც განაცხადა კატეგორიული სურვილი ერთად-ებრძოლისა კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც ამიერ-კავკასიაში განმტკიცდა მშრომელთა ძალა-უფლება არ იქნება და ვერც იქნება უთანხმოება მეზობელს საბჭოთა შორის. მშრომელი კლასის ენა, მისი ინტერესის საღად გაგება უარყოფს ყოველივე ომს მოძმე კლასთა შორის და მაშასადამე იმ ერთა შორისაც, რომელთა მესაჭეთაც იგი კისრულობს. ამიერ-კავკასიის ერები ძმური სიყვარულით იცხოვრებენ, რადგან შეხმატკბილებული იცხოვრებს ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა მასსებია—სთქვა ტფილისის საბჭომ და მეზობელ საბჭოების წარმომადგენლებმა 10 დეკემბრის სხდომაზე. ცხადია ეროვნული უფლებების შეულახველობა, ურთიერთ პატივისცემა იქნება შედეგი იმ აღთქმის განაღდებისა, რომელიც დაიდვა ტფილისის საბჭოს პირველს სხდომაზე.

ერთი ნაკლი აუცილებლად ახასიათებდა ტფილისის საბჭოს პირველ სხდომას, ამ სხდომაზე არ მოსსენდა ფაქტიურად ის, რაც ფორმალურად ჩვენი მთავრობის მიერაც მიღებულია ღ. საბჭოს სხდომაზეც ფორმალურადვე დადასტურეს. რომ ქართული ენა სახელმწიფო ენის პატივითა და უფლებით სარგებლობს. თვით მთავრობაც რუსული ენით დაელაპარაკა საბჭოს მაშინ, როცა მისი უმრავლესობა ქართველებისაგან შესდგებოდა და ისიც ისეთი მშრომელი ქართველებისაგან, რომელმაც რუსული ენა ნაკლებად იცის.

პრეტენდენტებს მომავალს საბჭოების სხდომებზე ადგილი არ უნდა ექნეს და ამით გავამართლებთ იმ შეპირებას, რასაც არჩევნების დროს აღუთქვამდით ტფილისის პროლეტარიატს, რომ ქართველი მშრომელი მხოლოდ თავისი ენით ალაპარაკდება საბჭოთა დაწესებულებებში.

რევოლიუციონური ინტელიგენცია, რომელიც ჩვენში უდგია სათავეში სოციალისტურ მუშათა კლასს უფრო იოლად გავა ფონს უქართულოდაც, მაგრამ ქართველი მშრომელი აქტიური მუშაობის გარეშე დარჩება, თუ კი მას ფაქტიურად წაერთვა საშუალება მსჯელობის ქართულს ენაზე მოსმენისა და ლაპარაკის.

ეფ. საჩინოელი.

ტფილისის მუშათა და წითელ-არმიელთა საბჭოს საზეიმო სხდომა.

1921 წ. დეკემბრის 10.

ეს დღე, დღე ისტორიული საქართველოს მშრომელ ხალხის ცხოვრებაში და მით უმეტეს მის ავანგარდისა—ტფილისის მუშა-წითელ-არმიელთა ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამ დღეს ტფილისში—საქართველოს დედა ქალაქში გაიხსნა პირველი საბჭოს, ტფილისის მუშების და წითელ-არმიელების დეპუტატების პირველი საბჭო.

პირველ საბჭოს გახსნა ტფილისში მომასწავებელია იმისა, რომ დღეიდან საქართველო სცილდება რევკომების სისტემას და მართვა-გამგეობა საქართველოში გადადის მუშა-გლეხთაა[illegible]

[illegible]

დღეიდან მთელ საქართველოს ეუფლება მისი ნამდვილი გამგებელნი, მისი ნამდვილი გულშემატკივარნი, მშრომელ ხალხის მებაირახტრე—საბჭოები.

სწორედ ამისათვის 10 დეკემბერი 1921 წელი იქნება ისტორიული დღე რევოლიუციის მსვლელობაში, საქართველოს მუშათა კლასის, საქართველოს მთელ მშრომელ ხალხის ცხოვრებაში.

მუშათა სასახლეში დილიდანვე დიდი მუშაობა სწარმოებს. დეპუტატები იღებენ მანდატებს და ბილეთებს სახელმწიფო საოპერო თეატრში წასასვლელად, სადაც ნაშუადღევის 4 საათზე უნდა გაიხსნას საბჭოს სხდომა.

4 საათისათვის დიდძალი ხალხი მოაწყდა თეატრს, სადაც მუსიკით მოვიდა აგრეთვე ქართველ კურსანტების გუნდი. წვიმა ხელს არ უშლიდა ზეიმის მსვლელობას. ქართველი მხედრობა, საქართველოს ნორჩი წითელი ჯარის ნაწილი ლაბაზ მწყობრით სარევოლიუციო მარშის თანხლებით მიიწევს რუსთველის ქუჩით.

გაიღო თეატრის კარი, რომლის ორივე მხრივ ჩამწკრივებული იყვნენ კურსანტები.

მაყურებელთ უშვებდენ ბინებისაკენ და ლოჟებისაკენ, მხოლოდ დეპუტატებს პარტერისაკენ. გაივსო მთლად თეატრის დარბაზი. დეპუტატების რიცხვი 361-ს უდრიდა. ამათში 305 კომუნისტი, 36 უპარტიო, 10 ფედერალისტი. ეს ცნობები მოჰმყავს თანახმად საარჩევნო კომისიის მდივნის მოხსენებისა, რაც მხოლოდ დაახლოებითია, რადგან სამანდატო კომისიას ჯერ არ განუხილია მანდატები.

ამის გამო ჩვენ ვემყარებით ზემოხსენებულ მოხსენებას და იმისდა მიხედვით მოგვყავს ცნობები. საარჩევნო უნები იყო ოთხ რაიონად დაყოფილი სადაც არჩევნებმა შემდეგი შედეგები მოგვცა:

1. რაიონში 10,500 ამომრჩეველში მონაწილეობა მიუღია 10,112 კაცს, რაც 94 პროცენტს უდრის, ამორჩეულია 56 დეპუტატი, მათ შორის 48 კომუნისტი და 8 უპარტიო.

2 რაიონში 9524 ამომრჩეველში მონაწილეობა მიუღია 6919 (73 პროც.); არჩეულია 57 დეპუტატი: 49 კომუნისტი და 8 უპარტიო.

3. რაიონში 6656 ამომრჩეველში მონაწილეობა მიუღია 5417 (82 პროც.) არჩეულია 48 დეპუტატი: 42 კომუნისტი და 6 უპარტიო.

4. რაიონში 19143 ამომრჩეველში მონაწილეობდა 11064 (57 პროც.); არჩეულია 91 დეპუტატი: 72 კომუნისტი, 9 უპარტიო და 10 მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი.

ამგვარად სულ არჩეულია 252 დეპუტატი: 209 კომუნისტი, 33 უპ[illegible] [illegible] 10 [illegible] ფედერალისტ[illegible]

ამათში 235 კაცია და 17 ქალი. წითელ არმიელებში 19966 ამომრჩეველში მონაწილეობა მიიღო 13766 (69 პროც.) და არჩეულია 99 დეპუტატი.

საერთო რიცხვი დეპუტატებისა ამ გვარად უდრის 351 დეპუტატს: 305 კომუნისტი, 36 უპარტიო და 10 მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ საშუალოდ არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი მუშათა მხრივ უდრიდა 77 პროცენტს, მხოლოდ წითელ არმიელების მხრივ 63 პროცენტს.

ასეთია ის ცნობები, რომელიც საბჭოს სხდომაზე მოვისმინეთ მოხსენებლისგან.

5 საათისათვის აიხადა ფარდა და ინტერნაციონალმა გვამცნო ახალი წითელი საბჭოს სულისკვეთება. ინტერნაციონალს ასრულებდა ორკესტრი და სახელმწიფო ოპერის მომღერალთა გუნდი.

სცენაზე წითელ მაგიდას გვერდით ამშვენებდა წითელ მატერიით მოჭრილი ლენინის სურათი.

ტფილის მუშათა და წითელ არმიელთა პირველ წითელ საბჭოს სხდომას ხსნის ამბ. ორახელაშვილი მამია, რომელიც თავის სიტყვაში დაწვრილებით შეეხო საქართველოს მდგომარეობას და საერთაშორისო რევოლიუციის მსვლელობას: აღნიშნა მენშევიკების მბატონობის პერიოდი საქართველოში და უკანასკნელი ცხრა თვის პერიოდი, როდესაც მენშევიკების მიერ მოშხამული ხალხი, თანდათან ერკვეოდა და ემხრობოდა საბჭოთა ხელისუფლებას.

სიტყვის დასასრულ, მან მოუწოდა კრებას აერჩია საბჭოს თავმჯდომარე, დასახელებული იყო ლადო დუმბაძე, რომელიც ერთხმად იქნა არჩეული და რომელსაც დეპუტატებმა დიდი ოვაციები გაუმართეს.

ახლად არჩეულ თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ, პირველ ტფილისის წითელ საბჭოს მიესალმენ სხვა და სხვა წარმომადგენელნი, რომელნიც აღნიშნავდენ ამ საბჭოს მნიშვნელობას საქართველოს მშრომელ ხალხისათვის და აგრეთვე მთელ რევოლიუციის ისტორიაში, მიესალმენ საბჭოს ს. ჭირაჯონიკიძე რ, ც. ა. კ. სახელით, ბ. მდივანი საქართველოს რევკომის სახელით, შ. ელიავა წითელ არმიის სახელით. ძნელაძე საქ. კომ. ახალგაზდათა კავშირის სახელით, მიასნიკიანცი, კიროვი, კიკნაძე, კასპაროვის ქალი, და მრავალი სხვანი. ყველას სიტყვებს თან სდევდა ინტერნაციონალი და ტაში.

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სახელით სიტყვა წარსოსთქვა და დეკლარაცია წაიკითხა ამბ. თედო დლონტმა, რომლის სიტყვასაც ხშირად დეპუტატები ტაშის ცემით აწყვეტინებდნენ. (იხ. დეკლარაცია დღევანდელ ნომერში).

დასრულდა მისალმებანი. წარმოდგენილია მისასალმებელი დეპეშები ამბ. ზინოვიევს, კალინინის და სხ. რომელსაც საბჭო ადასტურებს.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ წამოყენებულ რეზოლიუციის დროს ჩვენი ფრაქცია კენჭის ყრაში თავს იკავებს.

წინადადება აღმასრულებელ კომიტეტში 35 კაცის არჩევის შესახებ მიღებულია ერთხმად. მემარცხენე სოც.-ფედერალისტებიდან არჩეულია ამბ. თ. დლონტი, მის მოადგილეთ ამბ. პარმენ ჭინიშვილი. სამანდატო კომისიაში, ხუთ კაცში, არჩეულია ჩვენი რაქციიდან ამა. ეფრემ ჩახუნაშვილი.

პრეზიდიუმი სვამს საკითხს რუსეთის [illegible] მეცხრე ყრილობის შესახებ, [illegible] 20 [illegible] სადაც უნდა გაგზავნილ იქნენ წარმომადგენლები. დასახელებულია 15 წარმომადგენელი, რომელიც საბჭომ დაამტკიცა. ჩვენი ფრაქციიდან არჩეულია მოსკოვში გასაგზავნათ ამბ. თედო დლონტი.

ამგვარათ საბჭოს სხდომა იხურება ინტერნაციონალით, რომელსაც ორკესტრთან ერთად მთელი დარბაზი ასრულებს. სხდომა დაიხურა ათის ნახევარ საათზე.

აღსანიშნავია ერთი რამ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს შემადგენლობა დიდი უმრავლესობა ქართველობა იყო, მაინც რუსული სჭარბობდა; მართალია ქართულად გაიხსნა სხდომა, იყო ქართულად მისალმებები, მაგრამ არა სახელმწიფოებრივი ენა მაინც სჭარბობდა. საქართველოს გულში, ტფილისში, პირველი საბჭო ამ მხრივ უნდა იყოს სწორი გეზის მიმცემი და სახელმწიფოებრიობა ენის დაცვით უნდა აშკარად ეტყობოდეს საბჭოთა ახალ ნორჩ დაწესებულების, მშრომელ ხალხის პატრონს—მუშათა და წითელარმიელთა საბჭოს.

—

სხდომის შემდეგ დადგმული იყო „ბესალომ და ეთერის“ მე-5 მოქმედება, სადაც ჩვეულებრივ დაატკბო დეპუტატები სარაჯიშვილის ნაზ სიმღერამ. „ბესალომ და ეთერი“ კარგი სიურპრიზი იყო პირველ საბჭოსთვის. აგრეთვე მშვენივრად იყო შესრულებული ბალეტი მორდკინის მეთაურობით.

დასასრულ ყოველივე ამისა დეპუტატები მიწვეულ იყვნენ კინო „არფასტო“-ში, სადაც ნაჩვენები იყო ახლად შედგენილი სურათი „არსენ ჯორჯიაშვილი“—1905 წლის რევოლიუციის ცხოვრებიდან. ეს სურათიც კარგი სიურპრიზი იყო საბჭოსთვის. ასე დასრულდა 10 დეკემბერი.

ამგვარი ენტუზიაზმით შეხვდა საბჭოს პირველ სხდომას ტფილისის პროლეტარიატი.

სოსო.

საქართველოს ყალბი მანდატით.

ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობამ მენშევიკურ პარტიას დიდი როლის თამაში არგუნა საქართველოში.

დღეს მენშევიკები საქართველოს თავისუფლების თვის მებრძოლ პარტიად გამოდის. მაგრამ, ვინც იცნობს მენშევიკების წარსულს, მათ მოღვაწეობას, სოციალურს მრწამსსა და მიზნებს, მას არ შეუძლია არ დაინახოს მენშევიკების ერის სამსხვერპლოზე ასე მამაცურად წარმოსაკუთებაში ისტორიული ცხოვრების ძლთა თამაში და ერთგვარი წინააღმდეგობა სიტყვახა და მდგომარეობის შორის. ჯნდა გარკვევით და ნათლად იქნეს აღნიშნული, რომ მენშევიკებმა თავიანთი 25 წლის მოღვაწეობის ხანაში ყველას ჩომ ნაჯსა და შეიმნიოს გარემოებაში მშვენერად ისარგებლეს და თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს ობიექტიური პირობები. ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობაში იმალებოდა ისეთი მომენტები, ინასკვეოდა ისეთი ობიექტიური გარემოება, რომელიც მენშევიკებს სწორს იდეურს კრახსა და არა პოლიტიკურს შორს მეკრეტელობას ააშკარავებდ; მიუხედავად ასეთი წინაღმდეგობისა მენშევიკურს სიტყვასა და ობიექტიურს პირობებს შორის, არსებითად ამავარი პირობები ხალს აწყობდა „მუშათა პარტიის“ არა დაშლასა და დასუსტებას, არამედ ფაქტიურად მის გაძლიერებას და გამაგრებას. ისტორიამ ჩვენში ყველაზე არი გარემოება მენშევიკების ორგანიზაციულ გაძლიერებისათვის შეჰქმნა, მაგრამ ამავე ისტორიამ ჩვენში მათი სრული იდეური სიკოტრე და იდეოლოგიური კონსერვატიზმი გამოააშკარავა. როგორც გნებავთ ახსენით ეს გარემოება, რაც გნებავთ უწოდეთ მას, მაგრამ ასეთი პირობების არსებობის ფაქტს თქვენ ვერ უარყოფთ.

განა აღსანიშნავი არ არის ის ფაქტი, რომ მენშევიკები მთელი თავიანთი ენერგიით უარყოფდნენ ყოველგვარ ეროვნულ პოლიტიკის წარმოებას, რომ ამ ეთი პოლიტიკა მათ სოციალიზმის ღალატად მიაჩნდათ. აგერ ახლა არ იყო ის ფაქტი, რომ მათი ცნობილი იდეოლოგები ეროვნულს ორგანიზმს ისტორიულ ცხოვრებისაგან განწირულად და გარდამავალ კატეგორიად სახვდნენ, ვის მეხსიერებიდან შეიძლება იყოს ამოშლილი ის ფაქტი, რომ 1903 წლიდან, რუსეთის სოც.-დემოკრატიულ ყრილობის შემდეგ, სადაც ნ. ჟორდანია ავტონომიისა და ფედერაციის პროექტებით წარსდგა და მასში ხედავდა უდიდესს საშველებას ეროვნულ საკითხის გადასაჭრელად. რისთვისაც მან მიიღო დიდი რისხვა და გულის წყრომა რუსეთის პლეხანოვებისაგან? ეი ამ ყრილობის შემდეგ, იმავე პლეხანოვების გულის მოსაგებად, ქართველმა ჟორდანიებმა და წერეთლებმა დაჭამეს მათ მიერ შემუშავებული პროექტები ავტონომია-ფედერაციისა და მათი უარსაყოფად უზღვავი სადამგოგიო წერილები შეთხზეს. შეიძლება ზოგიერთ მათგანს არც ისე ესიამოვნოს ამ ფაქტების გახსენება, რომელიც ნათლად ამჟღავნებს მათს არაპოლიტიკურს შორს მჭვრეტელობას და სიბეცეს, მაგრამ ისტორია ვისმე სასიამოვნოთ არ იწერება. მან ობიექტიურად უნდა ასწონ-დასწონოს ყოველი მოვლენა და სრული სისწორით გადმოგვცეს იგი; ეს ისტორია სრული მეუდგომლობით გადმოგვცემს დღეს, რომ მენშევიკები ჩვენში ანტი-ეროვნული პოლიტიკის მატარებელნი შეიქმნენ. 1903 წლიდან, ებრძოდნენ ყოველგვარ ეროვნულს მოვლენას და ეროვნული მოძრაობა რეაქციონურად მიაჩნდათ. ავტონომია და ფედერაცია ფეოდალიზმის იდეოლოგიას დუკვეშირეს და ბურჟუაზიისა და თავადაზნაურების მოთხოვნილებათ გამოაცხადეს თავიანთი კლასიური ბატონობის განსამტკიცებლად. ყოველმა ჩვენთაგანმა იცის ეს ფაქტები, ყოველი ჩვენთაგანი, დაინტერესებულია ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ვითარებით, გასცნობია მენშევიკების პოლიტიკურს მსოფლმხედველობას ეროვნულს საკითხში და გამოურკვეია მისი უარყოფითი მხარეები.

მაგრამ ეს ასე იყო წარსულში, რამოდენიმე წლის წინად. დღევანდელი ცხოვრების პირობები შეიცვალა; საერთაშორისო ცხოვრების კონიუნქტურა სხვა მოხაზულობით შემოიხაზვრა; მსოფლიოს წიაღში ახალი მომენტები და მოვლენანი დაიშალნენ. გარემოება შეიცვალა, ამ ცვლილებასთან ერთად შეიცვალა მენშევიკური პოლიტიკური მრწამსიც.

ყოველგვარი ეროვნული პოლიტიკის უარმყოფენი, ავტონომიისა და ფედერაციის მგობელნი და რუსული ცენტრალიზმის მალმერთებელნი, უეცრად ტრანსფორმაციის დიდ კანონს დაიმორჩილენ და თავიანთი პოლიტიკის მთავარ ხაზად აღიარეს ის, რასაც ებრძოდნენ სულ ახლო წარსულში მთელი თავიანთი ენერგიით ეროვნული პოლიტიკა შეიქმნა მენშევიკების საარსებო ქვაკუთხედი, და ისინი სრულიად ურცხვად შემოჯდნენ ამ ტოტზე, რომელსაც გაასკეცებული ენერგიით უპირებდნენ მოჭრას წინა დღეებში. ტოტი ძლიერი და შეუღავილი აღმოჩნდა, მას ვერ ფერი ვერ დაეკლო ვერც პოლეხანოვის მიერ აღესილმა და ჩვენი მენშევიკების ხელით მოქნეულმა ნაჯახმა, ვერც მენშევიკების მთელი თავიანთი სიმძიმით მასზე შემოსკუპებამ. ეს ტოტი უფრო მეტსაც მოიწერო: ის განთავისუფლდა მენშევიკების ტვირთისაგან. ეს პატარა ისტორია გვეუბნება, რომ ამ „ტოტის“ შერყევა არ ძალუძს არც ერთს ჯგუფსა და რაციას ფეოდალიზმის იდეოლოგიას დუკვეშირეს და ბურჟუაზიისა და თავადაზნაურების მოთხოვნილებათ გამოაცხადეს თავიანთი კლასიური ბატონობის განსამტკიცებლად. ყოველმა ჩვენთაგანმა იცის ეს ფაქტები, ყოველი ჩვენთაგანი, დაინტერესებულია ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ვითარებით, გასცნობია მენშევიკების პოლიტიკურს მსოფლმხედველობას ეროვნულს საკითხში და გამოურკვეია მისი უარყოფითი მხარეები.

მაგრამ ეს ასე იყო წარსულში, რამოდენიმე წლის წინად. დღევანდელი ცხოვრების პირობები შეიცვალა; საერთაშორისო ცხოვრების კონიუნქტურა სხვა მოხაზულობით შემოიხაზვრა; მსოფლიოს წიაღში ახალი მომენტები და მოვლენანი დაიშალნენ. გარემოება შეიცვალა, ამ ცვლილებასთან ერთად შეიცვალა მენშევიკური პოლიტიკური მრწამსიც.

ყოველგვარი ეროვნული პოლიტიკის უარმყოფენი, ავტონომიისა და ფედერაციის მგობელნი და რუსული ცენტრალიზმის მალმერთებელნი, უეცრად ტრანსფორმაციის დიდ კანონს დაიმორჩილენ და თავიანთი პოლიტიკის მთავარ ხაზად აღიარეს ის, რასაც ებრძოდნენ სულ ახლო წარსულში მთელი თავიანთი ენერგიით ეროვნული პოლიტიკა შეიქმნა მენშევიკების საარსებო ქვაკუთხედი, და ისინი სრულიად ურცხვად შემოჯდნენ ამ ტოტზე, რომელსაც გაასკეცებული ენერგიით უპირებდნენ მოჭრას წინა დღეებში. ტოტი ძლიერი და შეუღავილი აღმოჩნდა, მას ვერ ფერი ვერ დაეკლო ვერც პოლეხანოვის მიერ აღესილმა და ჩვენი მენშევიკების ხელით მოქნეულმა ნაჯახმა, ვერც მენშევიკების მთელი თავიანთი სიმძიმით მასზე შემოსკუპებამ. ეს ტოტი უფრო მეტსაც მოიწერო: ის განთავისუფლდა მენშევიკების ტვირთისაგან. ეს პატარა ისტორია გვეუბნება, რომ ამ „ტოტის“ შერყევა არ ძალუძს არც ერთს ჯგუფსა და

მისი არსებობა იმდენად მტკიცე და ურყევია, რომ მრავალ პოლიტიკურ ელემენტებს, მისს წინააღმდეგ აღმხედრებულს, წამტვრევია ფეხს. ის არსებობდა, არსებობს და იარსებებს მუდამ.

ეროვნული პოლიტიკის აღიარების საკითხში მენშევიზმმა სასტიკად წაიტეხა ფეხი და ანტიეროვნული პარტიიდან იგი, დროთა ბრუნვაში, როგორც აღნიშნეთ, უფრესად ეროვნული პოლიტიკის მატარებელი შეიქმნა. მენშევიკების ბელადმა და ხელმძღვანელმა ნ. ჟორდანიამ „ერის ბელადის“ სახელი მოიხვეჭა და ეროვნული გმირის შარავანდედით შეიმოსა. ამ დიდსა და მნიშვნელოვან გარდაქმნის პროცესში, როდესაც მენშევიკური პარტია ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავიდა. ეროვნული ტრანსფორმაცია მენშევიკურს აზროვნებაში და ისინი რეფორმიზმის გზით პირდაპირ მივიდნენ სოციალ-პატრიოტიზმამდე. ის ძირითადი მომენტი, კლასთა ბრძოლა და სოციალიზმი, რომლის ს ხელით ისინი უარყოფდნ ეროვნულს პოლიტიკას, დღეს გაჭრა, მიიჩქმალა; უკეთ რომ ვსთქვათ, ეროვნულს მომენტს დაუმორჩილდა.

მენშევიკურმა აზროვნებამ ვერ შესძლო იდეური შეუღლება და შეერთება ეროვნულისა და სოციალურის მომენტების, ერისა და სოციალიზმის. წარსულში იგი სოციალიზმის სახელი ებრძოდა ეროვნულ; დღეს მენშევიზმი ეროვნული მომენტის ვითომ უფრესი მატარებელი შეიქმნა და ებრძვის პრაქტიკულად სოციალიზმს განხორციელების შესაძლებობას.

მენშევიზმი წინაღმდეგობათა მთელი რიგი მომენტებით ხასიათდება და ეს მომენტები ჩვენი ისტორიული ცხოვრების მიმდინარეობაში განსაკუთრებულის ფერადებით მეღალენდებოდა, რევოლიუციონურმა მოძრაობამ მ მოაშკარავა მენშევიზმის მთელი შინაარსი, თავისი წინააღმდეგობებით ნათლად დაანახვა ყველას, რომ ამ მოძრაობამ ლოგიკურად რევოლიუციონურს პროგრამაზე მუშაობა—მუშაობელია რევოლიუციონურ პროგრამაზე. „მენშევიზმის „გზით“ შეუძლებელია ეროვნული საკითხის შესაფერისად გადაჭრა.

რამ აიძულა მენშევიზმი დამდგარიყო საქართველოს ეროვნული პოლიტიკის ნიადაგზე? რევოლიუციის დეზერტირობ მ, სოციალისტური მოძრაობის ღალატმა. ოქტომბრის დიდმა გადატრიალებამ 1917 წელში პოლიტიკური ძალა უფლება გადასცა რევოლიუციონურს პროლეტარიატსა და გლეხობას. ეს ამით საზღვარი დაედვა მენშევიკ-ეხერთა დამლუპველს ბატონობას რუსეთის მოძრაობაში. რევოლიუციონურმა მოძრაობამ ქერენსკიეს ოპერაციის საშველებით ლიკვიდაცია უყო მენშევიზმს რუსეთში და პოლიტიკურად იგი რევოლიუციის მოწინააღმდეგე ელემენტად გამოცხადა. ამ გვარად მოკვდა მენშევიზმი, როგორც რევოლიუციონური აქტივიზმის მატარებელი, სამაგიეროდ მან ავტი-რევოლიუციონური აქტივიზმი შეიძინა. რუსეთში დამარცხებული ქართველი მენშევიკები, ამიერ-კავკასიის ფარგლებში შეეცადნენ თავიანთ ბატონობის განმტკიცებას, მაგრამ საერთაშორისო ძალთა-განწყობილებამ აქაც დამარცხება არგუნა მენშევიკებს და ისინი პირდაპირის გზით დაეშვენ ნ მშობლიურს ნიადაგზე. ვინ ჯ მთელ ამ რთულსა და მრავალფეროვან პროცესს ჯუდასმით გაითვალისწინებს, ითვის ნათელი და გარკვეული იქნება, რომ ქართველი მენშევიკების პეტროგრადიდ-მოსკოვიდ-ბერლინისა და ტფილისში გამაგრების მთავარი მიზეზი, მათ მიერ რევოლიუციის მიმართ ჩადენილ ღალატში მარხია. ჩვენში საქართველოს დამოუკიდებლობის ამოცანადის საქმეს, დიდის რგოლებით უკავშირებენ მენშევიკების საქმიანობას და ამბობენ, რომ საერთაშორისო მდგომარეობამ და შექმნილმა პი-

დეკლარაცია.

წაკითხული საქ. მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტთა ფრაქციის მიერ ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს პირველ საზეიმო სხდომაზედ 1921 წ. დეკემბრის 10 ს.

აქხანდელი ფედერალისტთა პარტიას მოწინააღმდეგენი სისტემატიურად უწოდებენ პარტიას ფეოდალისტებისას, ხუცებისას, ბერებისას, მდიდრებისას. იმდენად ხანგრძლივი და დაბეჯითებითი იყო ეს ქადაგება ხალხში, რომ ჩვენს საზოგადოებაშიც საკმაოდ დარჩენილია ასეთი შეხედულება, ხოლო განკუთვნებით-კი არა ქართულს მასაში.

ნთელი ჩვენი მოშაობა საწინააღმდეგოა იმისა, რომ ეს შეხედულება ყალბია. პარტია ჩვენ გამოვაცხადეთ შემრიტ სოციალისტურ გზაზე, ამ აზრისათვის ერთსოლდის გვიალალანია, ხოლო თუ დღეს ჩვენ ვზივართ სოციალისტურ საბჭოს წევრთა შორის, ეს იმიტომაც, რომ ახლაც დავამტკიცოთ პრაქტიკულად ჩვენი სოციალისტური შემოქმედება.

ჩვენი ფრაქცია მიზნად ისახავს უმთავრესად პრაქტიკულ მუშაობას. ამ მუშაობის ზოგად კონტურებისათვის, ფრაქციამ შეადგინა ქართულს და რუსულს ენაზე დეკლარაცია, რომელსაც გაგაცნობთ ფრაქციის დავალებით.

ერთი მცირე განმარტება, როგორც საარჩევნო კომისიის წევრი უნდა განვაცხადო, რომ ჩემი გამოსვლა დაახლოვებით უნდა მომხდარიყო 7 საათისთვის. ნამავლად-კი მილოცვები ისე მრავალი გამოდგა, სიტყვები ისე ვრცელი, რომ ჩვენს განკარგულებაში აღარ დარჩა დეკლარაციის ორივე ენაზე წაკითხვის დრო. ფრაქციის დადგენილებით დეკლარაცია უეჭველად უნდა წაგვეკითხა პირველად ქართულს ენაზე, მაგრამ კიდევ იმისთვის, რომ დეკლარაციის საფუძვლებზე ჩვენ მთელი კვირა ვახდენდით ტფილისის ყოველს უბანში გამოსვლებს ქართულად, იმიტომაც, რომ ჩვენ დეკლარაციას დავბეჭდავთ პარტიულს ორგანოში ქართულად, ხოლო დღეს საზეიმო სხდომის საკმაო არა ქართულ მასისათვისაც აშკარა და გასაგები იყოს ჩვენი აზრი, ფრაქციის ნებართვით და მთელი საბჭოს ნებართვით მე გავაკეთებ დეკლარაციას რუსულს ენაზე.

———

ტფილისში, საქართველოს გულში, პირველად 1921 წელს, დეკემბრის 10-ს, იკრიბება ხალხულფლოვანი მუშათა და წითელარმიელთა საბჭო.

რას ნიშნავს ეს?—ეს ნიშნავს შრომის წარმომადგენლების ბატონობას საზოგადოების სხვა სოციალურ კლასზე. პროვიზორული კანონები, რომელსაც გამოსცემს რევოლიუციური მუშათა და წითელარმიელთა საბჭო, მიმართულია დაცვას მთელი საზოგადოების, მთელი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები.

თანამედროვე რუსეთის სოციალისტურ რევოლიუციამდე მთელი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების მეგზურობას იწყოდა ბურჟუაზია. კაპიტალისტური კულტურის განვითარება, ბურჟუაზიის მეთაურობით იწყებოდა. ამავე დროს პროლეტარიატის კულტურის განვითარებასაც; ადეს-კი სოციალისტური კულტურის განვითარება პროლეტარიატის ხელმძღვანელობით ნიშნავს ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრების განვითარებას საერთოდ, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ არა პროლეტარული ელემენტებიც.

ძირითადი მოტივი თანამედროვე მდგომარეობისა გამოიხატება მთელი სიმდიდრის არა მარტო რაციონალ სარგებლობა-განათლებაში, არამედ მთელი ზედმეტი ღირებულების წარმოებაშივე გადატანაში, ენერგიის ყოველ ელემენტის საწარმოვო საქმეში გამოსაყენებლად.

ბურჟუაზიულ კულტურის არსებობა იმიტომაც არ შეიძლება, რომ იგი ფულსხმობს არაჩვეულებრივ, კომბინიურ მრეწველობიდან კომბინიურ სარგებლის მიღებას და ზედმეტი ღირებულების ნაწილის ირაციონალ სარგებლობას. ბურჟუაზია ეკონომიურ პროგრესს მეთაურობდა მაშინ, როცა ამ მესვეურობას კომბინიური, უსაზღვრო სარგებლით ამგვრებდა ჯერ მარტო პროლეტარიატის და გლეხობის, შემდეგ-კი კოლონიალი, დაჩაგრული ერების ექსპლოატაციის ფასებზე [illegible] ექსპლოატაციისა, ამათი ქონებრივ ავადმყოფობის პირველ-ყოფილ საზომით ექსპროპრიაციისა—ეიცა შეადგენდა და შეადგენს კაპიტალიზმის სიცოცხლის ეფექტიანებელ პირობას—დამთავრდა. ამიტომაა—ადრედვე—თანამედროვე მსოფლიოში ალარ არსებობს პროლეტარი ბურჟუაზიისათვის კულტურულ-პროგრესიულ როლის თამაშისა. ბურჟუაზიულმა კულტურამ და წარმოების სისტემამ შეასრულა თავისი მისია და მისი არსებობა მე XX საუკუნიდან ალარ ნიშნავს პროგრესულ მოტივებს, ის ვედარ იწვევს ეკონომიურ განათლებას, წარმოების განვითარებას. ფიზიურალად ბურჟუზიის ეს რეაქციური მნიშვნელობა გამოხატა თვით ომში გამარჯვებულ ანტანტის სახელმწიფოების სიკოტრით, რომლებმაც ვეღარ შესძლეს ომიანი ომის დამთავრების შემდეგ 1918 წლიდან ეკონომიური ცხოვრების აღდგენა. ისტორიის არც ერთ დროს არ მოხდარა ანალოგიური მოვლენა მთელს მსოფლიოში. ამგვარად ოდესდაც პროგრესიული ბურჟუაზია შეიქმნა ძალა რეტროგრადული, ძალა რეაქციური.

პოლიტიკურად ევროპაში შექმნილი ბურჟუაზიული სახელმწიფოების კოალიცია ალარ არსებობს. ანტანტა და „ხალხთა ლიგა“, რომელსაც მეთაურობდა ამერიკა. ინგლისი, საფრანგეთი და იტალია—დღეს ალარ არის. ამერიკამ თავი გაანება „ხალხთა ლიგის“ წევრობას და იგი დღეს ვაშინგტონს ლიგაზე ლაპარაკობს, ხოლო 1921 წლის აგვისტოს 30-ს შუალამის კრებაზე თემთა პალატის დადგენილებით, გაუქმებულია ყველა ის დადგენილებანი, ომის დროს რომელსაც ადგილი ქონდა ინგლისსა და საფრანგეთის შორის. ამ შესანიშნავმა ისტორიულმა აქტმა, ანტანტის დაღლეულმა, გამოაწვია წინააღმდეგობათა გაღრმავება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, რაციონალ რეალიზაციით გამოიკვანთა საარის, სურის, ზემო სილეზიის და სევრის საკითხებში. ამგვარად, მოხდა არა მარტო ბურჟუაზიულ ქვეყნების დაყოფა კოალიციებად, არამედ მოხდა დაშლა, დაჩაგრული ერების ექსპლოატაციის [illegible] ბურჟუაზიის [illegible] ბურჟუაზიის [illegible] ბურჟუაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობებმა ამბირ-კავკასიის ფარგლებში, აიძულა მენშევიკები დამოუკიდებლობა მიეღოთო. ზოგადათ ეს მართალია. კონკრეტულად კი ვერ გვაძლევს გარკვეულს სურათს მენშევიკების შესახებ. რასაკვირველია ობიექტიურმა საერთაშორისო მდგომარეობამ დიდი და გადამჭრელი როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაში, მაგრამ მეხუთე პარტიას სრულიად ადვილად შეეხო ეს ობიექტიურად შექმნილი პროცესი დამოუკიდებლობისაკენ თავისი მოქმედების გაფართოებაში გაეშვა და თვით არ გაეხდარიყო მისი აქტიური წევრი. მეორე შესაძლებლობა. ჩვენი დამოუკიდებლობა უცილებელი იყო. ამას ვერ ალიარებთ. მენშევიზმს შეეძლო ეს დამოუკიდებლობა მიეღო ამ საშუალებით დაეჭირა კავშირი რუსეთის რევოლიუციასთან, როგორც ამას ფექრობდა სოც.-ფედ. მემარცხენე ელემენტი. მდგომარეობამ მოგვცა საწინააღმდეგო. მენშევიზმმა დამოუკიდებლობა მიიღო, მაგრამ იგი რევოლიუციის მოკავშირედ კი არ გახდა, არამედ მის მოწინააღმდეგედ. რას ვეუბნები ეს ფაქტები? ობიექტიურ გარემოების მიერ შექმნილს პროცესს დამოუკიდებლობისკენ საგანებით შეუთანხმდა მენშევიკების ანტი-რევოლიუციონური შეგნება და მათ ამ გზით გადასწყვიტეს რევოლიუციიდან თავიანთი პარტიული ბაგეს გადარჩენა და მისი საწინააღმდეგოდ ორგანიზაციული ძალის შექმნა. ვინც ამ მომენტს, მენშევიკების ანტი-რევოლიუციონურს ბუნებას ხელიდან გაუშვებს, ის ვერ ახსნის მ. თ. ასე მოულოდნელს გარდაქმნას და ეროვნულ პოლიტიკის აღიარებას. სოციალიზმისა და რევოლიუციის დიზერტირობის გზით ისინი საქართველოს დამოუკიდებლობამდე მივიდნენ და ჩვენი ერი გამოიყენეს თავიანთი პარტიული სიმაგრეების შესანარჩუნებლად მენშევიკების ანტი-რევოლიუციონურმა ბუნებამ გადამჭრელი როლი ითამაშა ჩვენი ერის პოლიტიკურ ცხოვრების ვითარებაში და პარტიული ქინით დიბრმავებულებმა სრულიბით ვერ ეართვეს ალლო ჩვენს ირგვლივ შექმნილს კონიუნქტურას.

მენშევიზმი დამარცხდა თავისი მეცი საგარეო პოლიტიკით, რომელსაც სარჩულად ედვა ცნობილი სიტყვები „დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნია ალმოსავლეთის ფანატიკოსებს“-ო. ამ „მირჩევნიას“ ძახილში მენშევიკურმა მთავრობამ, რევოლიუციონური წითელი რკალი ირგვლივ შემოარტყმულმა, ერის საგარეო პოლიტიკას პარტიული ფანატიზმი დუდვა სარჩულად და საფასებით გამოეპარა ის, რასაც ითხოვდა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები, საქართველო მენშევიკების მიერ „არჩულ“ დასავლეთ იმპერიალისტების ალვლინა სფირიოში მიხვდა და გამარჯვებულმა ანტანტამ თავის ბატონობას დამორჩილა იგი. თავისი თავის ორიენტაციი, რომელსაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გაჰკოდნენ მენშევიკები, პრაქტიკულს ცხოვრებაში გამარჯვებულს ანტაიტის ორიენტაციით შეიცვალა.

სიმ. ხუნდაძე.

(შემდეგი იქნება)

ახალი ამბები

— სამაზრო რევკომის დადგენილებით, თემის რევკომის შტატები სექტემბრის 15-დან შემდეგ ნაირად შეიმოკლებულია: რევკომის წევრნი 3. საქმის მწარმოებელი 1. მეკრიკი 1. არჩეულია შტატის კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს სასწრაფოდ მოახდინონ რევიზია დაწესებულებისა, შტატების შესამოკლებლად.

— რევკომის მიერ ეკონომიურ განყოფილებას წინადადება მიეცა შეუდგეს ზეთის გზებისა და ხიდების შეკეთებას ახალ სინაკში, ნოქალაქევში, ბინძაში მარტვილში და სალხინოში. იმავე განყოფილებას მინდობილი აქვს სასწრაფოდ შეიმუშაოს პროექტი და სმეტა ხიდების ასაგებლად დარჩუმის ტეხურის და მარხურის მდინარეზე.

— შაბათს, დეკემბრის 10-ს სახელმწიფო საოპერო თეატრში დიდი ზეიმით შესდგა პირველი სხდომა, პირველი წითელი ტფილისის საბჭოს მუშებისა და წითელ არმიელთა დეპუტატებისა. თეატრი გაჭედილი იყო ხალხით. საბჭოს სხდომა გაიხსნა 5 ნახ. საათზე სადამოს ამხ. მ. ორახელაშვილის მიერ.

— ინჟინერ კოპაძეს მინდობილი აქვს შეადგინოს ხარჯთაღრიცხვა ტყეს სახირხი ქარხნის ასაშენებლად მდინარე ტეხურზე.

— ბერლინიდან საგარეო სამინისტროდან გერმანიის ელჩის სახელზე საქართველოში მიღებულია ტელეგრამა შესახებ იმისა, რომ ბზიბის კონკლიის სინდიკატის მიერ შეტანილია 300 ათასი მან. ოქრო ბეთ დარომ ამ საქმის შესახებ სწარმოებს მოლაპარაკება, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს ამხ. კრასინი.

უცხოეთი

პეტროგრადი. 7 დეკემბერი. დანციგში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა იმ მიზეზებისა გამო, რომ უარყოფილი იქნა მუშათა მოთხოვნილება ხელფასის მომატებისა.

პეტროგრადი, 7 დეკემბერი. ლატვიის მთავრობამ მემარჯვენე ს. რევოლიუციონერებს ნება არ მისცა გაზეთ „ვოლია როსიის“ გამოცემისა. გაზეთის გამოცემა გადატანილია ბერლინში,

ოდესა. 8 დეკემბერი. საგანგებო ალმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა წესდება ქართველ მშრომელთა კოლონიისა. კოლონიის მიზანია ასწიოს ზნეობრივი და ნივთიერი მდგომარეობა ოდესაში გადახვეწილ ქართველთა. კოლონია აწყობს სკოლებს, სამკითხველოებს, სასადილოებს და კოოპერატივებს.

ჰელსინგფორსი. 5 დეკემბერი. ვიბორგიდან კარელიაში ფინლიანდიიდან გაგზავნილია ოხრანიკები, რომელნიც მთლიანად შეიარაღებული არიან. იუვასგუოში შესდგა კრება, რომელმაც მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

1) ყველა, ვისაც კი შეაძლია იარაღის ტარება ფინლიანდიაში, უნდა წავიდეს ფრონტზე.

2) ვისაც არ შეუძლია პირადათ მონწილეობის მიღება ბრძოლაში, მთელი ლონისძიებით უნდა დაეხმაროს კარელიელებს ომში. გაზეთები იუწყებიან, რომ ერთა ლიგა თანახმაა გაანიხილოს ფინეთის მთავრობის ნოტა კარელიის საკითხის შესახებ, მომავალ კრებაზე.

ნაუენი. 8 დეკემბერი, საბჭოთა მთავრობამ ბერლინი, მოსკოვში და პეტროგრადში საგანგებო ფელდფოსტა გაგზავნა, შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას, დასამყარებლად დამოკიდებულებისა გერმანიის ბანკებთან.

ნაუენი. 8 დეკემბერი. იტალიის მთავრობამ განაცხადა, რომ ის იცნობს საბჭოთა მთავრობას, რუსეთ იტალიის შორის საზავო ხელშეკრულებისა და მისი რატიფიკაციის შემდეგ.

რომი. 8 დეკემბერი. ირლანდიისა და ინგლისს შორის უკვე შეთანხმება მოხდა. ამ შეთანხმების ძალით ირლანდია ნაცნობია თავისუფალ დამოუკიდებელ ქვეყანად, რომელიც შედის სწორ უფლებიან წევრად ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში.

რომი. 8 დეკემბერი. ალბანეთის ალმასრულებელ კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაში რევოლვერით მოკლეს რომის ქალაქის მკვლელი მიიმალა. მკვლელობის მიზეზი და მკვლელის სახელი გამოურკვეველია.

ბერლინი, 4 დეკემბერი. კლარა ცეტკინას თავმჯდომარეობით გაიხსნა საერთაშორისო პროლეტარიატის კომიტეტს კონფერენცია რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად.

ბერლინი, 8 დეკემბერი. ბერლინში არეულობა გაძელდა, რომელიც გამოწვეულია უმთავრესად უმუშევრობისა გამო.

ჰანოვერი. ინგლისის რადიო იუწყება, რომ ბერლინში ქალი და კაცი ანადგურებენ მაღაზიებს, მოვაჭრეები საკვერო ქუჩებს ბარიკადებით იცავენ. კომუნისტური პარტიის ლიდერები მუშებს მოუწოდებენ ძთავრობის წინააღმდეგ აშკარა მოქმედებისათვის. გაფლეთ ბრიბებმა მუშების დიდი მიტინგი. არჩეულია კომიტეტი, რომელსაც მინდობილი აქვს წარუდგინოს შინაგან საქმეთა მინისტრს მოთხოვნილება დატუსაღებულთა განთავისუფლებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში საყოველთაო გაფიცვა იმუქრებიან.

ბერლინი. ქალაქის ცენტრში და მიდამოებში გრძელდება სასურსათო დაფხვაცელის მაღაზიების ნგრევა. ბერლინში დატუსაღებულია 125 კაცი, ფილეში 44 კაცი. პოლიცია იმყოფება სრულს სამხედრო მომზადებაში. ბურჟუაზიის პრესის ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ მეამბოხენი არიან კომუნისტები. პოლიციის ოფიციოზის განცხადებით, ჯერ არ აღმოჩენილა ამ მოძრაობა.

მსგავსი მომენტები აქვს კონტრ-რევოლიუციასაც ანტანტის ქონდა და ეხლაც აქვს მომენტი შეტევითი, შეჩერებითი, დახვეთი, მაგრამ იგი ანტანტა არც ერთს მომენტში არ ივიწყებს თავის რაოქციურ ზრახვებს—რევოლიუციის მოსპობას.

ამ ჟამად ორ მთავარ მოწინააღმდეგე ძალთა შორის მდგომარეობა მეტად გამწვავებულია. გარეგნულად რევოლიუციურ რუსეთს თითქოს უთანხმდებიან ბურჟუაზიული სახელმწიფოები. არსებითად ეს ასე არ არის. ხსენებული შეთანხმება ჩვენ მოგვაგონებს საფრანგეთის დიდ რევოლიუციის ადებ-მიცემობას ინგლისთან. რომელშაც რევოლიუციურ საფრანგეთს გამოუცხადა, მაგრამ კონტრაბანდით დიდ ვაჭრობას ეწეოდა საფრანგეთთან. ასევე ხდება ეხლაც.

ამგვარად ჩვენ არ გვაქვს არც ერთი ისეთი მომენტი, რომელიც გვავალებდეს ბრძოლას გავაჩინოთ ანტანტის შედარებითს სიწყნარეს ყურადღება მოვაკლოთ და სარევოლიუციო ძალთა დაარაზმვისათვის არ გავწიოთ გენერალური მუშაობა. ჩვენ მუდამ ბრძოლად უნდა ვიყოთ დიდი ბრძოლებისათვის.

ამიტომ, პოლიტიკა insofern-inwifern, რომელიც თავის ბაბურდამდე იყვანა შეიდემანმა გერმანიაში, პოლიტიკა постольку поскольку, იმდენადრამდენად, რომლითაც მენშევიზმმა ყოველივე სარევოლიუციო ინიციატივა ჩაიტრეხა—ეხლ ეს პოლიტიკა მიგვაჩნია დამღუპველად და ამიტომ, უარვყობთ რა მას. მტკიცეთ ვდგებით სარევოლიუციო ფრონტის ნიადაგზე.

სოციალისტური - რევოლიუციონური მომენტის გასაძლიერებლად ჩვენ ვიღებთ დიქტატურას და საბჭოთა სისტემას. ეს ნიშნავს ძალადობას, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის დროს და ამ ძალადატანების სისტემას ჩვენ ვინაწილებთ. ეს—რასაკვირველია არ ნიშნავს დესპოტიზმს, არ ნიშნავს ტირანიას. ძალადობაში ჩვენ ვგულისხმობთ ძალადატანებას კლასობრივს, ძალადობას, როგორც პოლიტიკურ აზრს და არა წვრილმან ხასიათის შურისძიებას, რასაც კავშირი აქვს კრიმინალთან. ამიტომ ჩვენ მხარს უჭერთ პროლეტარიატის სამართალს, რევოლიუციურ ტრიბუნალებს და სახალხო გასამართლებას, ამ ახალ ფორმას და კოდექსს რევოლიუციონურ-სოციალისტური ხალხის შეგნების და სინდისს.

ხალხის გათვითცნობიერება წარმოადგენა აუცილებელ პირობას რევოლიუციის მიზნების გასავრცელებლად. სკოლა ჩვეულებრივი პედაგოგიკის თვალსაზრისით ვერ არის კარგად მოწყობილი. არ ვმალავთ. არხეულს მძიმე მატერიალ პირობებში, სკოლას აკლია საკმაოდ უზრუნველყოფილი პერსონალი—ეს სული მთელი საკოლო კულტურისა, აკლია შენობა, სახელმძღვანელოები და სხვ; რევოლიუციამ, რომ ლიც სკოლასაც ძალიან ბევრს ერთმევა თავის საქმისათვის—საზოგადოდ არ არის საუკეთესო მომენტი სასკოლო საქმის მოსაგვარებლად. მაინც არ შეეძლიან არ აღვნუსხოთ, რომ ცდა არსებობს—განათლებას მასიური ხასიათი მიეცეს; რუსეთში წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად არასოდეს იმდენი ენერგია არ დახარჯულა, რამდენიც რევოლიუციის დროს, საქართველოში ჩვენ უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ მოვლენას და განათლება, თუნდაც ეს მოხდეს იძულებითი ნორმების საშუალებით, უნდა გავავრცელოთ მასაში. ეს განათლება უნდა იყოს აგებული ხოციალისტურ პრინციპების ნიადაგზე. შრომის თვალსაზრისით მოწყობილი, ესე იგი უარყოფილი არა მეჯაური მეთოდი და ალიარებული მშობლიური ენა მასსის ალზრდის ბუნებრივ პირობად, არამედ უარყოფილი პედაგოგიური პრინციპები შემუშავებული ბურჟუაზიულ, მითიურ და თეოლოგიურ საფუძვლებზე.

პოლიტიკურს მომენტში ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ თანამედროვე რევოლიუციის გენერალურ პრობლემას—ნაციონალ საკითხს.

იმპერიალიზმმა ნაციონალი საკითხი გადასწყვიტა ერის თვითგამორკვევის პოსტულატებით. ნამდვილად კი იმპერიალიზმი დაფენილია ეროვნული ომებით, ერების დაჩაგვრით. ერების თავისუფლება დეკლარაციაში, მაგრამ დაჩაგრულ ერების ხორცის და ენის დასახვა ძალლების ხორცად და ძალლების ენად ახასიათებს იმპერიალიზმს.

მთელს მე-XIX საუკუნეში რუსულმა იმპერიალიზმმა საოცრად შეავიწროვა კავკასიის ყველა ერები. რუსული ზოოლოგიური ნაციონალიზმი ახსოვს ყოველ მუშას, ყოველ გლეხს, ყოველ მოქალაქეს. ამ ჟამად არსებული ერთგვარი სკეპტიციზმი რუსეთის მისამართით იმითაც მიხსნება, რომ ჩვენი ხალხის მასაში რუსს ცნება სახიერდება ეროვნების და მაჭოლის დაკარგვაში.

ეროვნულს საკითხს არსად ისე დიდი მნიშვნელობა არ აქვს, როგორც კავკასიაში. ისე მთელს ამ წინა აზიაში. მთელი აზიაიმპერიალისტურ ნაციონალიზმით დაჩაგრული მრავალ ერით არის დასახლებული, ეს ერები წარმოადგენენ უშრეტ ძალას რევოლიუციასას და ყოველივე თბილი მოპყრობა ერ-ეხადმი, ყოველი ნაბდვილი ეროვნული თავისუფლება რევოლიუციასთან აკავშირებს უამრავ ერებს და ძალებს. ტაქტიკურის თვალსაზრისით რევოლიუციის სახელმწიფოებმა ეროვნული საკითხი უნდა გადასჭრან დიამეტრალურად წინააღმდეგ ანტანტის გადაწყვეტისა.

მაგრამ ჩვენ პრინციპიალური შეხედულებაც გვაქვს ამ საგანზე. ჩვენი ფორმული რწმენაა, შეგნებაა: რევოლიუცია ერთად ერთი პირობაა ერების თავისუფლებისათვის. ამავე დროს იმასაც აღვნუსხავთ, რომ დღეს ნაციონალური საკითხი არ არის გადაწყვეტილი. არსებულს გარდამავალს პერიოდში ნაციონალურ საკითხის სავსებით გადაჭრა და ამოწურვა—შეუძლებელია. ეს ოცნებაა ობიექტიურად იმ შემთხვევაშიაც, რომ რევოლიუციის საქმეებს განაგებდნენ უმეჩიკელო ანგელოზები. რასაკვირველია ეს იმას იოტის ოდნავ არ ნიშნავს, რომ ხელმძღვანელმა რევოლიუციურმა ძალებმა მაქსიმუმი ყურადღება არ მიაქციონ ეროვნულ კითხვას და მაქსიმუმი სამსახური არ გასწიონ ერის საქმეებისათვის. ეროვნული ნიღილიზმი არ არის საკითხის გადაჭრა.

არსებითად მდგომარეობა უფრო რთულია. რევოლიუციის ძალას მუდამ თანა სდევს მიმდინარეობა სხვა და სხვა ჯგუფების, წრეების, პირების, ხშირად მეტად საეჭვოთა. ეს თანდაყოლილი თვისება რევოლიუციისა ხშირად მდგომარეობას რეგს, ართულებს მომენტს, აღიზიანებს ერებს, ჯგუფ და ჯგუფ სჩაგრავს და ბდალავს ელემენტარ ნაციონალ პოლიტიკას, როგორც არის მაგალითად მშობლიური ენის ხმარების საკითხი. ამ მოვლენას ჩვენ უნდა ებრძოლოთ სასტიკად, რომელიც უამრავ საკვებ მასალას აძლევს რეაქციის ძალებს.

ნაციონალ საკითხში ჩვენი მთავარი დებულებანი: ა) საქართველოში ქართული ენის სახელმწიფოებრიობა, ბ) სრული თავისუფლება ყველა ერის ენისა, ვ) მცირე ეთნიურ ჯგუფებს ყოველგვარი კორპორატიული და კულტურული თავისუფლება, გ) გადაჭრა ტერიტორიის საკითხის რეალურ მოსახლეობის პრინციპის მიხედვით და, დ) უარყოფა საკოლონიზაციო პოლიტიკის.

ეკონომიური მომენტი რუსეთში ამ ჟამად წარმოენიშნული ამთავრესად რეგულიარიზაციის მომენტი წარმოებისა და ვაჭრობაში. ჩვენ ამ პრინციპს საქართველოში ფურო ოკავშირებთ ეკონომიკის ნაციონალიზაციას, ვიდრე ეს ხდება რუსეთში. რუსეთი არა მარტო სამეურნეო ქვეყანაა, ის დიდი სამრეწველო ქვეყანაც არის. საქართველოს ქალაქები უმთავრესად ჩარჩების და სპეკულიანტების სამეფოა. საქართველოს რევოლიუციური მთავრობა ვერ გამოვა უმთავრესად და მარტოოდენ სპეკულიანტთა შემოქმედების რეგულიატორის როლში. ჩვენ თავიანვე შესაქმნელი გვაქვს ეროვნული მრეწველობა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეთა მეხეოვით და რაკი ბურჟუაზია დღეს სავსებით გატეხილია სწრაფი ჰეშეფტებით, სწრაფი და დიდი მოგებით, ესე იგი სპეკულიაციით, აშკარაა ამ დიდ საქმეს ნამ საქმის ბურჟუაზიას ვერ მივანდობთ, იგი უმთავრესაც საზოგადოებრივ ორგანიზაციების, კოოპერატივების და სახელმწიფოს მთავარ მიზანს უნდა შეადგენდეს. სახელმწიფოებრივი ბანკი, ან მისი განყოფილებანი (ჩვენ სავსებით ეიცავთ კრედიტის ნაციონალიზაციას) უმთავრესად უნდა ემსახურებოდეს სამრეწველო მიზნებს და ამ საქმეში ის ხელს გაუწვდის ადრეულ კერძო ინიციატივას, თუ კი იგი სამრეწველო საქმეებს სერიოზულად მოკიდებს ხელს.

მრეწველობის საკითხი უმთავრესად მუშათა საკითხია. მუშებს იმდენად შეუძლიანთ შრომის გაწევა და წარმოების მესვეურობა, რამდენადაც ისინი მატერიალად უზრუნველყოფილნი არიან. აქ ორი საკითხია: 1. სურსათის, რაც უკავშირდება მთელ სამეურნეო ცხოვრებას და 2. სოციალური. სურსათით ჩვენ მუშები უნდა უზრუნველვყოთ საკუთარი რესურსით, თუ სერიოზულად ვგრძნობ მტკიცე ფრონტი გექნდეს სურსათში. ამიტომ ქალაქები მუდამ უდიდეს დახმარებას უნდა უწევდეს, სოფლებს აგრიკულტურის დარგში. სოციალურის მხრივ—ბინა, მიმოსვლა, გზა, სანიტარია, კანალიზაცია, ბალნეოლოგია, მედიცინა და სხვა უნდა გადაიჭრას სოლიალისტურ პოლიტიკის თვალსაზრისით.

ჩვენ ალღეთ მეურნეობრივ პრინციპს მთელს წარმოებაში. დღეს ამ ნახრივ გადადგმულია ნაბიჯები, მაგრამ ეს ნაბიჯები ბეტ მ ხ ნ ჯ ტ ტარდება დღეს უმთავრესად მეურნეობრივი პრინციპ დაწესებულებებს ერთმ ნეთის დამ ანგარიშების წარ ენაში იხატება. ეს ოდნავადაც არ არის მეურნეობრივი პრინციპი. ეს უბრალო კალკულიარში ნა და ბიუროკრატიზმია. სახელმწიფოებრივი და საქალო მეურნეობა უნდა დაემყარის ბუჯეტს, ესე იგი უნდა ეყრდნობოდეს განსაზღვრულ წყაროს, ბაზრის და არა საკუთარ ორგანოების კულტურულ ექსპლოატაციას. ამასთან ერთად ერთი მთლიანი კასის სისტემა—ი ზოგადი კონტურები თანამედროვე ეკონომიური შემოქმედებისა.

ყოველივე ეს არც სოციალიზმია, არც კომუნიზმია, მაგრამ ეს არც კაპიტალიზმია. ეს—შეზღუდული, წელ გატეხილი, ალანგეგ მოგლეჯილი კაპიტალიზმია და ამ ეკე დაფლეთილი, მხოლოდ ნაწილობრივი სახეები სოციალიზმია. ესე იგი ეს ეკონომიური პოლიტიკა, ეს სისტემა არის შესაფერისი გარდამავალი პერიოდისა, მეცნიერული თანამედროვე პირობებში. ამ გზით ჩვენ შეეძლიან მეტი დამოუკიდებლობის გამოჩენა, მეტი დოვლათის დაგროვება, მეტი რევოლიუციური ენერგიის შენახვა და ამგვარად უფრო გაბედული და მტკიცე რევოლიუციონური ნაბიჯების გადადგმა კაპიტალიზმის დასანგრევად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში კომუნისტების ორგანიზაციების მონაწილეობა.

გაზეთი „ფრეიხეიტი“ სწერს: ნაცვლათ ჯოხის დაკვრისა მშიერ კუჭი, მთავრობამ ხელი უნდა დაადოს შეძლებულ კლასის ფულის ყუთებსო.

კონსტანტინეპოლი. ეურნალ „ორიახტი“ იუწყება, რომ ანატოლიის მთავრობას აზრათა აქვს ანგორაში აიგოს მოედანზე ახი-ბაირამის ძეგლი, ეროვნული იდეიის გადიდების მიზნით. გამოცხადებულია კონკურსი ოსმალთა ხუროთმოძღვრებისა და მხატვართა.

ნაუენი, 9 დეკემბერი. შეერთებულ შტატების სამხედრო მინისტრმა თავის მოხსენებაში კონგრესზე განაცხადა, რომ საჭიროა სამხედრო კრედიტის გადიდება. სამხედრო მინისტრის აზრით საჭიროა: 1) გადიდება კადეტების გამოშვების რიცხვისა; 2) საჭიროა გაძლიერებული წარმოება ჰაეროვან გემებისა და 3) მსხვილი შორსმსროლი იარაღებისა. შორსმსროლი იარაღის შესახებ. სამხედრო მინისტრმა უკვე პრაქტიკული ზომები მიიღო, გატარებული სამხედრო სამინისტროს მიერ.

ვენა, 9 დეკემბერი. უნგრეთის მთავრობის თავმჯდომარე გამოვიდა დეკლარაციით მთავრობის პროგრამისა ეროვნულ კრებაზე. ძირითადი მეხლები პროგრამისა შესდგება უნგრეთის ეროვნულ ცხოვრების განვითარებაში და მიწის კანონის გაუმჯობესობაში. მთავრობა საჭიროთა სცნობს მხედველობაში მიიღოს ეკონომიური და კულტურული პირობები უნგრეთისა. მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ ჟამად მას შეუძლებელად მიაჩნია შეეხოს მონარქიულ პრობლემას, რადგან ამ საკითხს დიდი დიპლომატიური მნიშვნელობა აქვს.

ნაუენი, 9 დეკემბერი. გამოძიებამ, შესახებ რომში მოკლულ ყოფილ დიდი ვეზირისა, აღმოაჩინა სომეხთა შეთქმულობა.

ნაუენი, 9 დეკემბერი. ზიგიულ-ფაშამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიაც სასტიკათ კიცხავს ინგლისის ეგვიპტის ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლის წინააღმდეგობისათვის.

ნაუენი, 9 დეკემბერი. გამბურგის საოლქო სასამართლომ მიუსაჯა ჩინეთის ყოფილ ელჩის კეტლერის მეუღლეს 500,000 მარკის ჯარიმა რემბრანტის სურათის, რომელიც ღირდა რამოდენიმე მილიონი მარკა, საიდუმლოთ გაყიდვისათვის.

საქართველოს რევკომის საინფორმაციო განყოფილების ცნობები.

მდგომარეობა სენაკის მაზრაში.

სასურსათო საქმე. ბაზარში არის სურსათის სამი-ოთხი თვის მარაგი. სენაკის მაზრის თემთა რევკომების კონფერენციამ, რომელიც ნოემბერში მოხდა, დაადგინა აეკრძალოს სპეკულიანტებს მაზრის ფარგლებიდან სურსათ-სანოვაგის გატანა, რადგან მაზრის მცხოვრებთ და საბჭოთა მოსამსახურეებს მოელის დიდი გაჭირვება სურსათის მხრივ.

მოსავალი. მოსავალი მაზრაში უნუგეშო სურათს იძლევა. მოუსავლობის მთავარი მიზეზი არის გვალვა, რომელიც გაზაფხულზე დადგა. შემოდგომის გამუდმებულმა წვიმებმა ხელი შეუწყო მოუსავლობას.

ხალხის სულიერი განწყობილება. მაზრაში ხალხის სულიერი განწყობილება კარგია. უპარტიო მასსა ახალი ხელისუფლებით კმაყოფილია და დიდის იმედით შეჰყურებს მას. განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს მათში ადგილობრივ ორგანოების ზრუნვა კულტურულ და ეკონომიურ სფეროებში. ქურდ-ყაჩაღების შემცირებას სიამოვნებით აღნიშნავს მშრომელი მასსა. მოწინააღმდეგე პარტიების ვავლენა განისაზღვრება მცირენარე ინტელიგენციის, ყოფილი თავად აზნაურების და სპეკულიანტების უშედეგო პროვოკაციით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

სწავლა-განათლების საქმე. სენაკის მაზრაში მოწყობილია და ამჟამად არსებობს: ერთი სამავშვო ბაღი, ას ორმოცი შრომის სკოლა, ხუთი ტეხნიკუმი, ორი სამეურნეო, ორი საფეიქრო და ერთი ჭრა-კერვის სკოლა. სკოლების დიდ უმრავლესობას აქვს საკუთარი ბინა, სკოლების შენობები მოითხოვენ შეკეთებას. მაზრა დახმარებას ცენტრიდან არ ღებულობს, ამის გამო ბინების შეკეთება სწარმოებს ადგილობრივი საშუალებით. აღნიშნულ სკოლათა კლასების, ან ჯგუფების რიცხვი უდრის 662, მოსამსახურეთა 928, მოწაფეთა—21.706. სკოლებში მუშაობა სწარმოებს ამა წლის 10 ოქტომბრიდან. რამოდენიმე სკოლაში ბინის უქონლობის გამო მუშაობა შეფერხდა; მიღებულია სასწრაფო ზომები მუშაობის აღსადგენად. დიდად აფერხებს მუშაობის ნორმალურ მსვლელობას ის უმწეო მდგომარეობა, რომელსაც განიცდიან მასწავლებლები ჯამაგირისა და სურსათის მიუღებლობის გამო. ხუთი თვე სრულდება რაც მასწავლებლებს არ მიუღია არც ჯამაგირი და არც სუსსათი. სკოლებისათვის საჭირო სასწავლო ნივთები და ხელსაწყოები უკვე მიღებულია და დარიგებული.

აგრონომიული დარგი. ა. წ. 1 სექტემბრიდან მაზრაში დაგზავნილ იქნენ აგრონომები მაზრის ყველა სოფლებში, რომლებმაც თანახმად დავალებისა, აუხსნა მშრომელ მასაას თესლეულების ამორჩევა, ხეხილის მოშენება, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა და ნიადაგის განოყივრება მოსავლის მომავალის წლისათვის. ამა წლის ოქტომბერს წინადადება მიეცა მცხოვრებლებს ნერგების და სხ. ხეხილების მოგვარებაზე, ასეთის დარგვაზე და მის რაციონალურად მოხმარებაზე. თანახმად მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მოწერილობისა, აგრონომიული განყოფილება შეუდგა სამეურნეო იარაღის და მანქანების მოგროვებას და გადასინჯვას მაზრის მასშტაბით, ვინაიდან განზრახული იყო სამეურნეო იარაღების შეკეთება.

ადმინისტრაცია. ბოროტ-გამზრახველების წინააღმდეგ გადაჭრილ ზომების მიღებამ მაზრაში, ძალზე შეამცირა ქურდ-ყაჩაღობის შემთხვევები. ამ ჟამად მაზრაში არის მხოლოდ ორი გამოჩენილი ყაჩაღი, რომლებსაც, ადმინისტრაციის მიერ მიღებულ სასტიკ ზომების გამო, თითქმის თვეზე მეტია არავითარი ბოროტ-მოქმედება მაზრაში არ მოუხდენიათ და იმედია მათი ამ მოკლე ხანში შეპყრობა. აქ უნდა აღინიშნოს ის მოვლენა, რომელსაც თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც აქვს ადგილი—სახელდობრ ის, რომ ზუგდიდის მაზრიდან ყაჩაღები გადმოდიან მოსაზღვრე თემებში, ახლენენ თავდასხმას და შემდეგ კი უმალ გადადიან ზუგდიდის მაზრაში. მაზრის ადმინისტრაცია ამ ჟამად დგას წესიერების ფხიზელ სადარაჯოზე.

ეკონომიური დარგი. სტიქიურმა უბედურებამ ცხენის წყლის ადიდებით სოფ. ქოლობანთან, მორიგ და გადაუდებელ საკითხათ დააყენა მაზრის რევკომის წინაშე ცხენის წყლის ნაპირის გამაგრება. რევკომმა ამის შესახებ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომელმაც ეს საქმე მიანდო უმაღლეს მეურნეობის საბჭოს. უკანასკნელმა შეადგინა გეგმა და აღუთქვა სამაზრო რევკომს, რომ შემოდგომის დამდეგს, როცა წყალი დაიკლებდა, შეუდგებოდა მუშაობას. მხოლოდ ეხლა—ნოემბრის დამდეგს, როცა ცხენის წყალმა გაარღვია ნაპირი მეორე ალაგს სოფ. სამიქაოსთან, რითაც ასეული მილიონების ზარალი მიაყენა მცხოვრებთ და გაართულა ლიკვიდაციის საქმეც, მაშინ შეუდგა სახალხო მეურნეობის საბჭო მუშაობას. სამაზრო რევკომის ეკონომიური განყოფილების მიერ, პირველ ნოემბრიდან შეკეთებულია სამი ხიდი ქვალონის მახლობლად მე-8 ვერსზე ზუგდიდის ორპირის გზაზე. ახალი ბეტონის ხიდი, ახალსენაკის—ნოქალაქევის გზაზე. სახელოსნოში მზადდება ამ ხიდისათვის სამეურნეო იარაღები.

მიწად-მოქმედების განყოფილება. მაზრაში მიწის კომიტეტები მუშაობენ ამ ჟამად ლეხაინდრავოლოლიის, მართვილის, კუზუს, აბაშის, ეკის-პართანის, ნოსირის და ქვემო ჭალადიდის თემებში საჭირო ცნობების შესაკრებად, ხოლო მუშაობა თეკლათის, ბანძის, ნოქალაქევის ღა სალხინოს თემებში უკვე დამთავრებულია. გლეხების განწყობილება და დამოკიდებულება მიწის კომიტეტების მუშაობასთან სასურველია. სენაკის სამაზრო საადგილ მამულო კომისიაში გაირჩა დღემდე 104 საქმე სხვა და სხვა პირების წინადადებით, მათ შორის ღალის შესახებ 96 საქმე, მიწის შესახებ დაკმაყოფილებულია 50 და უარყოფილია 54. გლეხთა ურთიერთ შორის საჩივართა რიცხვი, შემოსული სამაზრო რევკომის განსახილველად —უდრის ნოემბრის თვეში 22, ხოლო სახელმწიფო დაწესებულებისადმი—8.

მოსავალი აჭარაში.

ხანგრძლივმა წვიმებმა და სიცივეებმა ძლიერ დააბრკოლა სიმინდის დაწიფება, უმთავრესად ქ.—და ზემო აჭარაში, სადაც ოქტომბრის შუა რიცხვებში არ იყო მოტეხილი სიმინდი. ზღვის ნაპირების რაიონში მოსავალი უდრის—60—80 ფუთს, მთის რაიონში კი—20—40 ფუთს დესეტინაზე. ქ. და ნაწილობრივ ზედა-აჭარაში ს. ხიჩაურამდე მოსავალი 16 ფუთს. დანარჩენ ზემო-აჭარის ნაწილებში კი—52 ფუთამდე დესეტინაზე. აქედან დასკვნა ისეთია, რომ ქ. აჭარაში და ზ. აჭარის ადგილებში მოსალოდნელია სიმშილი. რომ ვიანგარიშოთ თითო სულზე თვეში ერთი ფუთი 13.475 მცხოვრებლებზე—დაჭირდებათ დახმარების აღმოჩენა ნახევარი წლის განმავლობაში სულ 80,350 ფ. სიმინდი. ხსენებულ რაიონებში მიწის დიდი სივიწროვეა,—თითო კომლზე მოდის ნახევარი დესეტინა. ამასთან ჯოგიც ცოტა ყავთ. ჩალის მოსავალიც ძალიან ცუდია. ზღვის რაიონის მცხოვრებნი შეიძლება ჩაითვალოს, სურსათის მხრივ, უზრუნველყოფილად, ისე როგორც ზოგიერთი ზ.—აჭარის ადგილები, სადაც მოუსავლობა ანაზღაურებული იქნება სხვა შემოსავლით: რძის ნაწარმოებით, ხილით და სხვა.

პარტიული ცხოვრება

ლეჩხუმის მაზრა.

ლეჩხუმის მაზრაში ისევ გაცხოველდა პარტიული მუშაობა, არსდება ახალი ორგანიზაციები და ეწერება მრავალი პარტიული წევრები. ახალ წევრთა შორის უმრავლესობა შენანიებული ჩვენი მემარჯვენე ამხანაგობაა. ჯერ-ჯეროობით დაარსდა მხოლოდ სამი ახალი პარტიული ორგანიზაცია დ. ცაგერში, დ. ლაილაში და სოფ. დეხვირში. მოკლე მომავალში დასრულდება ორგანიზაციების გახსნა მაზრის ყველა თემებში.

ახლა გახსნილი ორგანიზაციები ლაილაშის, ცაგერის და დეხვირის სთხოვს მთავარ კომიტეტს მოაწოდოს გაზ. „ტრიბუნა“.

ალ ჭაბუკიანი.

დადგენილება № 114

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

ნატურალური ხარკის (натуралог) მოხსნისა და შემცირების საუწყებათაშორისო კომისიის დაარსების შესახებ.

1. მოეწყოს სასურსათო სახალხო კომისარიატთან,—შინაგან საქმეთა, სასურსათო, მიწადმოქმედებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატების თითო წარმომადგენელთაგან, — სასურსათო სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით,—საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც განიხილავს შუამდგომლობათა ნატურალური ხარკის მოხსნისა და შემცირების შესახებ, რაიმე განსაკუთრებული გარემოებისა და უბედურების გამო,—რაც გადამხდელს საშუალებას უსპობს ნატურალური ხარკის გაღებისას.

2. საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილება ნატურალური ხარკის მოხსნისა ან მისი რაოდენობის შემცირების შესახებ, დამტკიცებულ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

3. ნებართვა, იმის შესახებ, რომ ცალკე გადამხდელს ან ჯგუფს, რაიმე განსაკუთრებული გარემოების გამო, ნატურალური ხარკის ერთი პროდუქტი მეორე პროდუქტად შეეცვალოს, უნდა გაცემულ იქნეს სასურსათო სახალხო კომისარიატის მიერ.

4. სასურსათო სახალხო კომისარი, საუწყებათაშორისო კომისიასთან შეთანხმებით, გამოსცემს სათანადო ინსტრუქციებს.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

სასურსათო სახალხო კომისრის მოადგილე **ალ. ერქომაიშვილი.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი—სასახლე.

შეცდომის გასწორება.

„კავკასიის“ სახელწოდების წარმოშობის შესახებ ჩვენ მიერ დაწერილ წერილში ბეჭდის დროს დაშვებულ ა შემდეგი შეცდომები.*) უნდა იყოს:

I. „კავკასიის“ სახელწოდების ქვეშ თანამედროვე მეცნიერება იცნობს ორ მთაგრეხილს: ერთი მდებარეობს შავსა და კასპიის ზღვათა შორის და იწოდების Caùcasos Scythicòs, მეორე კი ძევს ტურანსა და ავღანისტანის შუა და იწოდების Caúcasos Jndicós.

. . . . . .

II. მეორე ცნობა ძველებისა ამ სახელწოდების შესახებ დაგვრჩა რომაელთა მეცნიერის: „სკითები ეძახიან კავკასიის მთაგრეხილს „გრავკ-აზის“ = Graucasis, რაც ნიშნავს—„თეთრ-თოვლოვანი“=ნѣлоснѣжный *).

. . . . . .

III. გენრიხ-იული კლაპროტი, გერმანელთა გამოჩენილი ორიენტალისტი, აწარმოებს ამ სიტყვას—„კავკასიას“—Koh—Kâfsp=Кохъ—Каспъ, ე. ი. მთა კასპიელთა. . . . .

IV. ალექსანდრე მაკედონელი მე IV საუკუნეში ქ. წ. ნ. ვ. სენ-მარტენის აზრით, ინდოეთში ბაქტრიიდან მიილაშქრებდა და მას, რასაკვირველია, თან ეხლებოდა მრავალი ირანელები, რომელთა „კოხი-კაზა“, ესე იგი მთა კაზთა ადგილად, თავისთავად შეიცვლებოდა ბერძენთა თქმაში „კაუკაზად“. . . .

V. . . . ერთი რამ არის ხაზგასასმელი „გრავკ-აზის“ მნიშვნელობა: თეთრ-თოვლოვანი, თვით ცნება ნѣлоснѣжный. ამას თუ მივაქცევთ ყურადღებას და მას მთიელ ხალხთა ენებიდან მოუძებნით თანაბრად დალაგებულ სიტყვებს, ჩვენ ვიპოვნით კავკასიელთა ერთ-ერთ ხალხთა ენაში, სახელდობრივ—ავართა, სრულიად მარტივად გადაწყვეტ მასალას: Kah=თეთრი, hazo=თოვლი; თეთრ-თოვლოვანი=Kah—hazo=კახმაზო, აქედან ბერძნული Caúcasos სრულიად ბუნებრივია.

აფხაზური ასსუ=açù=თოვლი და შკვაკვა—თეთრიც უდგება კავკასიის სახელწოდების წარმოშობას, მაგრამ აფხაზურად ამ სიტყვათა ჩვეულებრივი დალაგებაა: ასსუ შკვაკვა და არა შკვაკვ—ასსუ.

ი. ჯიშკარიანი.

*) იხ. „ტრიბუნა“ № 90.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

დაკარგე პასპორტი № 24036 (877), მოცემული სპარსეთის ქვეშევრდომ ალი აკბერ რახულოვის სახელზე. გთხოვთ ჩასთვალოდ გაუქმებულად.
ალი აკბერ რახულოვი.
143

დაკარგე მატრიკული, მოცემული ტფ. სახელ. უნივ. № 2048. გრიგოლ მერაბის ძე კაპ.ნაძე. ჩათვალეთ გაბათილებულად.
145

დაკარგულია პირადობის მოწმობა სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტის გიორგი ჟორულისა. გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად.
144

კბილის ექიმი
ი. გ. ხარაგანვა გაბრაძე
ღებს ავადმყოფებს, ყოველ დღე დილის 9—2 და საღ. 4—6-დე ექიმობა, პლომბები ხელოვნური კბილები. მუშტაიდის შეს. № 4.
109